საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/199
20/01/2025

199-01-2-202501201234

მოქალაქე ნატო ფირცხელიანს (პ/ნ [redacted])

მის: თბილისი, [redacted]

ტელეფონი: 595 79 31 [redacted]

ქალბატონო ნატო,

2024 წლის 29 ნოემბრის №01/6130 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომ – განცხადება). დამატებით გაცნობებთ, რომ პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი შესაბამისი განცხადების ფორმის მოძიება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე: https://gcca.gov.ge/index.php?m=401

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია). თქვენს 2024 წლის 29 ნოემბრის №01/6130 განცხადებაში არ არის წარმოდგენილი მოვაჭრის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE